

619
1998

የኢትዮጵያ
የጥቅም ስራ ሚኒስቴር



№ 9-10. 1998 ፍ.

የጥቅም ስራ

საიუბილეო
ღღეები
თბილისში



საქართველო
საქართველო



ყრველთშვიური საზოგადოებრივი
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო შუხნალი

ღროზა

შინაარსი:



გურამ ბათიაშვილი. გმადლოთ,
ქართულ ცაო!
რმ ღავილოვი. იხინი ვირვლენი იყვანე.
ირაკლი აბაშიძე. ხმა კატამონთან.
პოლინა ბააზოვა. რავინი ღავით
ბააზოვი; გარცალ ბააზოვი და
საქართველო.

მთან ბააზოვი. ღმსჯაი.
ფრიდონ სინხარულიძე. წვიღა ქალაქის
შინაეზლინი თუ ახლად გავგვანე.
ალექსანდრე ივრისპირალი. თვალის
ახლის წოთავი.



ღავით სინხარულიძე. საშოკლოვი
სტუგრაღ.

ჯიგალ აზიაშვილი. ანდლუსინის
ეგრაული საგალოგვანი (თარგმანი).
ნუნუ კუხრეიშვილი. გავგოგონის
ყლორტავი საქართველოს გზის ქვეშ.
მეკა გოტირიძე. „გაფხისტყოსანე“
წვიღა მინაჯა.

გულნარა ბახტაძე. ურის მერცხალი.
ალეკო შინაელი. ვირღაანელი გზის
საღვამგველო.

ვასილ გვამტაძე. ქუთაისური ჩანახტავი.
ღამარა გავუა. ჩიტო, ჩიტო, ჩიტო
მარგალიტო!..

ეკა ჩილაჩავა. აგრამ გავაღის შარვი.
აბონ ციციანიშვილი. ორი არის სიაგავა.
წინე ღგავუაქა. ეგრაული ღსტი-
როღნე აპაკის.



ანაკლოტავი.
ქროსკოგდი.

სარღვამციო ქოღვანი:

ჯანსულ ჩარკვინი – თაველოგავა,

გულნარა ბახტაძე
პასუხისგმგავალი რღვამტოვი,

ვასილ გვამტაძე, ნატო თათარაშვილი,
ჯურაბ კვანტრიანიშვილი, თაღო წინიძე,
ღინარა წოღი (გხატვარ-რღვამტოვი),
ელღარ შინაელიანი, ჯურაბ წარათელი,
თაგა ჭილაქა.



... მსოფლიო ისტორიაში, ალბათ, ქველად თუ მოიძახება-
ბა ორი არის ისეთი სულთწიკი პერიოდება, როგორც აბრა-
ელი და პართევლი ხალხების უნიკალური მქმნა და მამო-
რობაა. პართევლებს და საქართველოს აპარაღებს იმდენი
რამ ავით საერთო, რომ ხანდახან ქველი ვასარჩევია, სად
მთავრდება პართული და სად იწყება აბრაელი ხასიათი,
ტრადიცია, ჩვეულება. საქართველოს აპარაღთა თითქმის
სამიათნაწლოვანი ისტორია საქართველოს ისტორიის ნა-
წილია და ყოველად წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის
სრულად წარმოჩენა პართულ აპარაღთა ისტორიის
ბარება...

ედუარდ შვიპარდიაკი



ისინი უჩინოდ იყვნენ

● ებრაელები საქართველოში ოდითგანვე ცხოვრობენ. როგორც ისტორიკოსები გვამცნობენ, უძველესი საქართველოს ტერიტორიაზე ისინი სულ მცირე ჩვენს ნელთარიცხვამდე V საუკუნეში გამოჩნდნენ. ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგი მანტრი თავის შრომებში აღნიშნავს, რომ „ქართველი ებრაელები სრულიადაც არ ითვლებიან კავკასიაში უცხოებად და ქართველთა შორის ძველთაგანვე ცნობილი არიან ურიების სახელით“.

როგორ გაჩნდნენ ისინი კავკასიაში, და კერძოდ, საქართველოში? ჯერ კიდევ 12-13 საუკუნეებში ჩვენს ნელთარიცხვამდე უძველესი ებრაელები მესაქონლე ტომები მომთაბარებოდნენ არაბეთში, გადასახლდნენ პალესტინაში, სადაც ნაწილობრივ შეერწყნენ ქანაანელებსა და ხეთებს, დამკვიდრდნენ და დაიწყეს მიწათმოქმედება. თანდათან მათი გვარტომული ფენები შეიცვალა კლასებით, ჩამოყალიბდა ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო/დაახლოებით მეათასე წელს ჩვენს ნელთარიცხვამდე/, რასაც ხელს უწყობდა მონათესავე ტომებთან – ფილისტიმიანებთან და სხვებთან ბრძოლები.

დაახლოებით 935 წელს ჩვენს ნელთარიცხვამდე ეს სახელმწიფო ორად გაიყო: ჩრდილოეთით – იზრაელის სამეფო, რომელიც 762 წელს ჩვ.წ.აღ-მდე ასირიამ დაიპყრო და სამხრეთით – იუდეის სამეფო დედაქალაქით იერუსალიმი. 586 წელს ჩვ.წ.აღ-მდე იუდეა იერუსალიმთან ერთად დაიმორჩილა ბაბილონმა. მოსახლეობის ნაწილი მესოპოტამიაში განდევნეს, რამაც მისცა დასაწყისი ებრაელთა მთელ მსოფლიოში განთავსება (ე. წ. დიასპორების შექმნას). აი, მაშინ გამოჩნდა კავკასიაში ებრაელთა პირველი საზოგადოებები.

ადრეული შუასაუკუნეების ეპოქაში ებრაელები ძირითადად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ცხოვრობდნენ, მათ მიმართ სავანებუ კანონები გამოცემოდა – ეხლადეობათ უფლებები, ეკრძალებოდათ თავისუფალი საქმიანობები, კერძოდ, მიწის მფლობელობისა და მიწით სარგებლობის უფლებები. ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, დასახლებულიყვნენ ქალაქებში და ხელი მიეყრთ ხელოსნობისა და ვაჭრობისათვის, უფრო მდიდრებს კი – მეცხეშეობისათვის.

ებრაელები არ დაიშვებოდნენ სამეჩროებსა და გილდიებში, უფრო მაღალი გადასახადებით ბევრადნდნენ, ვიდრე სხვა ერების წარმომადგენლებს, ახალგაზრდობისათვის დაკეტილი იყო სასწავლებლების კარები, ერიდებოდნენ, მათ რჯულს სდევნიდნენ. ებრაელთა გაქურდვა, დაყარალება და თვით მკვლელობაც კი არ ისჯებოდა. დაზარალებულის ქონებას ეპატრონებოდნენ ფეოდალები, ბიურგერები, კათოლიკური ეკლესია, რომელიც ებრაელებისადმი მტრობას ადვილებდა, როგორც „ქრისტეს მტრებისადმი“. იმ დროს ათეული ათასობით ებრაელი დაიღუპა.

ზოგ შემთხვევაში ებრაელებს მასიურად ერეკებოდნენ რიგი ქვეყნიებიდან, ყოველგვარი მიზეზის გარეშე კლავდნენ და მკვლელი არ ისჯებოდა. ასე მოხდა XIII საუკუნეში – ებრაელები დახოცეს და ცოცხლად დარჩენილები გააძევეს, საფრანგეთში XIV საუკუნეში, ესპანეთსა და პორტუგალიაში XV საუკუნის ბოლოს. განსაკუთრებით დიდ შევიწროებას განიცდიდნენ ისინი რუსეთში. მათ არ ნიშნავდნენ თანამცხოვრებაზე, არ აძლევდნენ გასაქმნა ვაჭრობაში, ძარცვავდნენ, არბევდნენ. კლასობრივმა და ნაციონალურმა ჩაგვრამ რუსეთში იმ დონეზე მიიყვანა ებრაელები, რომ XIX საუკუნის ბოლოს 25-დან 39 პროცენტამდე ებრაელობა ამ უზარმაზარი ქვეყნის რიგ ქალაქებში ცხოვრობდა ემონირებულიობის ხარჯზე.

სრულიად საწინააღმდეგო სურათი იყო კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში.

დასუქუნთა სიღრმეში კავკასიაში მოსული ებრაელები დასახლდნენ ადგილობრივ მრავალრიცხოვან ეთნიკურ და ენობრივ ჯგუფებს შორის. გაჩნდა აბხაზო-ადიგურული შტო – კავკასიის ჩრდილო-დასავლეთით და ქართველთა – კავკასიის სამხრეთით.

ებრაელებმა საქართველოში მიიღეს ადგილობრივი პროვინციული დიალექტი. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელები (თბილისი, გორი, ცხინვალი, სურამი) ლაპარაკობდნენ ქართულ დიალექტზე, დასავლეთ საქართველოში (ქუთაისი, საჩხერე, კულაში) – იმერულზე, ბათუმი, ფოთი, ქობულეთი – აჭარულ-გურულზე, ონი, ლენჯუბი – რაჭულზე, ახალციხე, აწყურ, ახალდაბა, აბასთუმანი – მესხეთურზე...

გამოჩენილი სახალხო განმანათლებელი, ისტორიკოსი და პედაგოგი ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: «ქართველმა ებრაელებმა ქართული ენა შეინარჩუნეს აღმოსავლეთის თვით ყველაზე დაპორებულ ქვეყნებშიც კი. ასე იყო ბიზანტიამ, ტრაპეზუნდში, სადაც დღემდე ლაპარაკობენ ამ ენაზე, ეს მაშინ, როცა თავთ ქართველთა შთაბრძნავლებმა, ქართველმა მაჰმადიანებმა ვერ შესძლეს ენის შენარჩუნება და დამკვიდრება. საქართველოდან ნასულმა ებრაელებმა კი, სადაც არ უნდა იყვნენ, თან წაიღეს ქართული ადათ-წესები, ჩაცმულობა, ენა, წერილობაც კი ქართულად წერენ».

არასოდეს, არც ერთ ეპოქაში, არც ერთი მთავრობის დროს ქართველ ებრაელობას არ განუვლია დისკრიმინაცია, შევიწროება, დევნა... საქართველოში მათთვის ყოფა-ცხოვრების იგივე პირობები იყო, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ისინი ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ და შრომობდნენ ისეთივე პირობებში, როგორშიც ქართველები. გარდა ამისა, მეძვლოთ სრულიად თავისუფლად და მშვიდად, ყოველგვარი შიშის გარეშე ერწმუნათ თვითიანთ რელიგია, აცხატ-წესები. ებრაული ენა, დამწერლობა, ადათები და ცხოვრების წირი, არ ექვემდებარებოდა არავითარ კონტროლს – ვერაიგი გადასინჯავდა მას, ვერავინ დასცილებდა. კაჟკახიამ, რუსულად არამიაში, მეფის დროსაც, საბჭოთა პერიოდშიც და ჩვენს დღეებშიც, ქართველთა და სხვა ერების წარმომადგენელთა გვერდით მსახურობდნენ ებრაელებიც. მათგან ბევრმა თვით უმაღლეს სამხედრო ჩინებს – გენერლობას, ადმირალობასაც მიაღწია.

საქართველოში ყოველთვის პროპაგანდა ენეოდა ებრაულ ლიტერატურას. დიდი ტირაჟებით გამოიცემოდა ქართულ ენაზე თარგმნილი ებრაული პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებები, ასევე ითარგმნებოდა და ითარგმნება ქართული ენიდან ებრაულად. საქართველოს მოსახლეობაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა ისეთი ცნობილი ებრაელი მწერლები, როგორიცაა ლიონ ფეხტიანგერი, შალომ ალექსიემი, პერეც მარკიმი, იციკ ფეფერო, ისააკ ბაბული, გერცელ ბაზხოვი და მრავალი სხვა. დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ქართველთა შორის დავით იცხაკის ორტიქიულმა «ებრაელები კაჟკახიაში», დავით ბაზხოვისა და ერის ტერენის სამეცნიერო შრომებმა და ასე შემდეგ.

საქართველოში გამოდიოდა ებრაულ ენაზე ჟურნალები და გაზეთები: «ებრაელთა ნება», «ებრაელთა ცხოვრება», «ხმა ებრაელისა», ალია საქართველოდან». არსებობდა ებრაული სკოლები, თეატრი, კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოებები, მზრუნველთა საბჭოები, თვით ერთიანი ებრაული ნაციონალური საბჭოც, იყო და არის სინაგოგები, სამლოცველოები, სასახლო.

საქართველოს უფლება აქვს იამაყოს ასობით ებრაელი – საქართველოს მოქალაქეებით, რომელთაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურის, მედიცინის, არქიტექტურის, განათლების, სპორტის, ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ორიათასექვსასი წლის განმავლობაში ვერავითარმა ძალამ ვერ დაარღვია ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა და ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს მას ახლაც.

რეა ლპიძე

● მტრისგან დევნილი, სამშობლოდაკარგულნი მოვედით საქართველოში.

მიგვიღეს და მოგვიღეს ყველაზე მთავარი – სიცოცხლი – სა და შრომის უფლება.

დიდი ოფლი ვლვარეთ ამ მიწაზე, ისევე ვცხოვრობდით, როგორც ქართველები – მათსავით გვეცოდა და მათსავით გვიხაროდა. მოხბენურისათვის ჩვენც ქართველნი ვიყავით და ხანჯალს ისევე გვიყრდა გულში, როგორც ქართველს.

თუ ქვეყანა სიკეთეს ენეოდა, ჩვენც მზე გვედგა სულში. როცა ქართველი მიწაზე დიდი ღამე დასდებოდა, ებრაელი კაცის ყოფა ათასგზის მიმდებოდა.

ჩვენ თავშესაფარნაპოვნი, დევნილინი ვიყავით – სამშობლოსგან ოტყებულნი და სამშობლოს ნატრულნი. ოხვრასა და ცრემლში ვპოვეთ ახალი სამშობლო. მან, ახალმა სამშობლომ, გვანათო ძუძუ, ერთხელაც არ გვიოლატინა იმ ხალხსა და მიწისათვის, რომელზეც ვცხოვრობდით. ზნეობას ჩვენი თორა გვასწავლიდა. ძალას – ქართველთა თანაგრძნობა გვაძლევდა.

ასე მოვიტანეთ სული ჩვენი ისტორიული სამშობლოს გაცოცხლებამდე, იმ დღემდე, რომელსაც ასერიგად შენატროდა ყოველი ებრაელი.

«დამინდეს მარჯვენა ჩემი, თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ»...

სასოებით შევეყურებ ქრისტიანული საქართველოს სულიერ მეუფეთა – ქართველ კათალიკოს – პატრიარქთა და მეფეთა სურათებს.

თუ დღეს მთელ მსოფლიოში ქართველ ებრაელებზე ამბობენ და წერენ, ძლიერ შინახსი რწმენაზე, ურყევედ მსახურებდნენო ადონაის, ამაში მათი წვლილიც არის – მათ არ ნაგვათოვს, ხელიდან არ გამოგვევლიჯვს თორა.

ამიტომ, ჩვენც დღეს ეროვნულ ძირებს კი არ ვუბრუნდებით, ისევე ვცხოვრობთ, როგორც საუკუნეები გვიცხოვრია – ებრაულად.

სიონის კედლებს 26 საუკუნის შემდეგ ებრაელებად ვუბრუნდებით.

თუ დღეს მთელ მსოფლიოში ლაპარაკობენ ქართველთა ტოლერანტობაზე, რეულთშემწყნარებლობაზე, ამაში ებრაელთა წვლილიც არის – ქვეყნიერების ყოველ კუთხის ჩვენც მოესდეთ ქართველთა ამაზე. საქართველო სულში ჩასახლდა. ამ ქვეყანასთან განპირობისას, ცრემლი გვდის, რადგან ჭირს, ძალიან ჭირს სულთან გამოშვიდობება.

ალბათ, შეუძლებელია და არც მოხდება, რომ საქართველო დაიკალბოს ებრაელთაგან. ებრაელობა ქართველი ციხესარტყელის ერთი ნათელი ფერია.

ქართველი ებრაელობა ძმა და თანამდევი მეგობარია გულადი ერისა.

ასე იყო გუშინ – დაღინების ყამს, ასეა დღეს – შეჭრებისას. ქართველი ებრაელობა – ქართველით მიმტყვევები და მასავით გულგია, ამიტომ ზოგჯერ მასავით მოტყუებულნი და იმედგაცრუებულნიც, მაგრამ...

ფენქისის ბედი არავითხელ სწავია საქართველოს! კვლავაც ვიწვევ.

კვლავ ერთად გავიხარებთ.

დღეს კი:

გმაღლო, ქართული ცაქო! გმაღლო, ქართველო კაცო!

კვლავც ვიწვევ დარაჯი ამ ცისა, ამ მიწისა! კვლავაც ვიწვევ დარაჯი ჩემი ძისა!

პედი

ტრაგიკულია მისი ბედი ისევე, როგორც ჰომეროსისა და შექსპირის, დანტესი და რუბენსის, როგორც ბედი მრავალი დიდი პოეტისა, მხატვართა და მოაზროვნეთა.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ცნობილი ქართველი მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი წერდა, რომ იერუსალიმში, ჯერის მონასტრის კედელზე არის ფრესკა - შოთა რუსთაველის პორტრეტი. იგივეს ამტკიცებდა XIX საუკუნეში პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი.

გავიდა კიდევ 100 წელი და ვილაცამ განადგურა პოეტის გამოსახულება.

თვალდახელშეა გამქრალი პორტრეტი მოსვენებას არ აძლევდა ირაკლი აბაშიძეს - ამ დიდებულ ქართველ პოეტს და მან საქვეყნოდ განაცხადა:

- ჩვენ ხომ დღემდე არ ვიცით, როგორ ცხოვრობდა და როგორ გარდაიცვალა ჩვენი დიდი შოთა? და რატომ დუმს მის შესახებ ისტორია?

მართლაც, რუსთაველის შესახებ მხოლოდ ლეგენდები შემოგვრჩა.

ერთ-ერთი მათგანი მოგვითხრობს:

- ეს მოხდა ნადირობისას, ტყეში, რომელიც საქართველოს უძველეს დედაქალაქს - მცხეთას გარშემო არტყია. ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილმა თამარ მეფემ ცხენი შეაჩერა. მეფის კარის წარმომადგენელი შოთა, დაენია მეფეს და მათ ერთად გააგრძელეს გზა.

- მომიყვიე რაიმე ზღაპარი, ჩემო ერთგულო მეგობარო, - სთხოვა თამარ მეფემ. შოთა წამით ჩაფიქრდა.

- ეს სევდიანი ზღაპარი იქნება, დედოფალო, - თქვა და დაიწყო:

- ერთ მეფეს ჰყავდა ალუნგრელი სილამაზის ქალიშვილი. მრავალი ქვეყნიდან მიემურებოდნენ რაინდები და ახალგაზრდა უფლისწულები მისი სიყვარულის მოსაპოვებლად. მაგრამ ამოდ...

სასახლის ერთ-ერთ დარბაზში იდგა მაღალკიბის მაგიდა მოძვრო ბროლის თასით.მასში დილის წამზე უფრო გამჭვივრავლე მეფის ასულის ცრემლები ციმციმებდა.

მეფის ასულის ხელის მიქებენლი უნდა დამდგარიყვნენ თასის წინ და შეეცქნათ ლექსი სიყვარულზე. გადმოცემაში ნათქვამია: ლექსი თუ იქნებოდა დულწრეული, თასში ცრემლები ადულდებოდა.

გადიოდა დრო, პოეტები ერთმანეთს ცვლიდნენ, ქმნიდნენ ლექსებს, მაგრამ ცრემლები თასში არ დუღდა.



მეფეს მობეზრდა ლოდინი და უბრძანა ქალიშვილს, ბოლოს და ბოლოს შეერჩია ხელის მთხოვნელთაგან რომელიმე. მეფის ასულმა ცივი უარი განაცხადა. მაშინ მამამ თავისი ასული ცხრაკლიტულში ჩასვა.

ულმართო დარდასა და სევდაში ილეოდა მეფის ასული. ერთხელ გადანყვიტა საკუთარი პორტრეტი დაეხატა. დაჯდა სარკის წინ, დაიდო ქალაღლი და დანიყო ხატვა. როცა პორტრეტი მოამთავრა, ძაფით მიაბა ის მტრედს ფეხზე და ფანჯრიდან გაუშვა...

შორს, ძალიან შორს, შვიდი სახელმწიფოს იქეთ, ცხოვრობდა ერთი პოეტი, რომელიც ნამდვილ სიყვარულს ელოდებოდა. ნამდვილი სიყვარული კი არა და არ ჩანდა. და დუმდა მისი ღირა, სიმები ღრმა მწუხარებას მოეცვა.

ამ დროს თვალთ უხილავი ქვეყნიდან მასთან თეთრი მტრედი მიფრინდა და მზეთუნახავის პორტრეტი მიუტანა. აენთო სიყვარულის ცეცხლით პოეტის გული. ის მაშინვე გაემგზავრა უცნობი ქალიშვილის საძებნელად.



ხმა კატამონიან

„-ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ, შენ, ჩვენი ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ, შენ, ჩვენი სუნიტეის დილო ალაშო, შენ, ჩქრთა ჩვენთა ტუბილო მალამო შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა, შენ ერთი შემერჩი სამარის პირთან. ნათესავს ათასს, მეგობარს ათასს, მშურდსა და მართალს, მტერთა და ძმათა დადგომიდი. მირჩა, ყველა მოთავდა; მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა, მხოლოდ შენ უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს, შენ – ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კარად. თუ რამ მზე მწამდა, თუ რამ მზე მწავდა უტკიბილეს დღეთა, უტკიბილეს ნამთა, უტკიბელ შენ ხარ, ენავ დედაო, შენ მწარე ღვინო, ტუბილო სვედაო, შენ, ყოვლის მიქმელო, ყოვლის არმიქმელო, შენ, გმირთა გმირო, ბრძენო ქართველო, წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო. ქვესკნელში მძრომო, ცაში მჭვრეტელო, ხან–ფუნჯო ჩემო, ხან – საჭრეთელო, შენ, ავესის ჰომო, ცრემლო სამარის... იბერის ენავ, ენავ თამარის... შენ ნიჭო ჩემო, სრბოლავ და ფრენავ, დედაო ენავ, დედაო ენავ! დავეცე, იქნებ, სიმაგრე ყველა, მოისარს, იქნებ, ყველა ყმა ეკლავ, დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას, დააკედეს აზრი ნაპოვლის პოვნას, ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მუხი, ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედავას ფეხი, მხოლოდ შენ, უტკიბობს, შენ, ხატად ქცეულს, რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს? ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ, შენ, ჩემო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ, შენ, ჩვენი სუნიტეის დილო ალაშო, შენ, ჩქრთა ჩვენთა ტუბილო მალამო, შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა, შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პირთან.“

მაგრამ თუ გსურს, გირჩევ: დატოვე საქართველო, გაემგზავრე საბერძნეთში, პალესტინაში, დაენაფე ცოდნას...

– შევასრულებ ჩემი დედოფლის ბრძანებას, – თავი დახარა და წარმოთქვა რუსთაველმა.

– კიდევ ერთი თხოვნა: გრძობთა შენი ჩაუტე უტესებს. დაწერე პოემა სიყვარულზე...

– ამ ბრძანებასაც შევასრულებ, ჩემო დედოფალო, – უპასუხა შოთამ... და აი, ასე, საქართველოდან შორს, პალესტინის უდაბნოებში, დაწერილა პოემა „ვეფხისტყაოსანი“ – სახარება სიყვარულისა, ნაწარმოები, რომელიც შემდგება ვუნდოვით აგრეთვე მეგობრობის, სიმახამცისა და ადამიანურ გრძნობათა მადიდებელი ჰიმნი...

იმასაც ამბობენ, ეს პოემა დიდმა პოეტმა სამშობლოში ჩამოიტანა და საჩუქრად მიართვა თამარ მეფესო, მაგრამ შემდეგ იძულებული გამხდარა, სამშობლო დაეტოვებინა.

სამშობლოდან განდევნილი პოეტი სამუდამოდ დასახლებულა იერუსალიმის, წმინდა ჯვრის ქართულ მონასტერში ბერად შემდგარა.

ეს ერთ-ერთი იმ ლეგენდათაგანია, მშვენიერი და ლამაზი, პალესტინასა და უკვდავი მგოსნის შესახებ რომაა შექმნილი.

უკვე ჩვენს დროში, ირაკლი აბაშიძე თავის მეგობრებთან, გამორჩენილ მეცნიერებთან, აკადემიკოსებთან – აკაკი შანიძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად ჩავიდა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში. ამ სამკაცინანა ჯგუფმა მოძებნა ის სვეტი, რომელზედაც ოდესღაც დადებოდა პოეტის პორტრეტი იყო, გაასუფთავა მტერისგან და წარუდგინა მსოფლიოს. ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის ამ შრომას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მსოფლიო მეცნიერული აზრის საოცრება. სწავლულებმა მოახერხეს აგრეთვე ძველქართული წარწერების წაკითხვა მონასტრის ეკლესიაზე.

დღეს, როგორც წმინდანს, ისე ინახავენ იერუსალიმში საფლავსა და ფრესკას, რომელზედაც გამოსახულია უკვდავი შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია მსოფლიოს უამრავ ენაზე. თარგმნილია ის აგრეთვე ებრაულ ენაზეც.

ბერძენი იარა თუ ცოტა იარა, მიადნია ჩვენი თუკე ცნობილ სამეფოს. აქ გაიგო მეფის ასულის უცნაური პირობა და გაართობის მიზნით, გადწყვიტა ბედი ეცადა. რა იცოდა მაშინ მან, რომ სწორედ ეს თავნება მეფის ასული იყო ის მზეთუნახავი, რომელსაც ეძებდა.

პოეტი მიუახლოვდა მაგიდას, წარმოიდგინა ნანახი პორტრეტი და დაიწყო სიმღერა, რომლის მსგავსი ადამიანის ყურს მანამდე არავერი სმენია. და აი, უცებ თასში ცრემლები აღდგა. მამონეც გამოცხადა მეფის ასული. პოეტმა შეხედა მას და გაშეშდა: ეს ხომ ის იყო, ის – მტრედის მიერ მოტანილი პორტრეტი.

მან ნაბიჯი გადადგა მეფის ასულისაკენ, მაგრამ მისი თვალები უკუნა სიბნელემ მოიცვა: დაიწყნოდა უბედურს, დროზე გადაეღვარა მდურდარე ცრემლები. ამოვარდა ორთქლი და დააბრმავა.

... მეფის ასულმა შეიყვარა ბრმა პოეტი და ცოლად გაჰყვა. აღმოჩენილმა მეფემ არ ისურვა დანათესავებისა უცნობ, ღარიბ პოეტს და თავისი ასულიცა და პოეტიც მისი სახელმწიფოდ გააძევა. მეფის ასული და ღარიბი პოეტი ძალიან ბედნიერები იყვნენ, რადგან ძალიან უყვარდათ ერთმანეთი...

დამირგუნველი სიჩუმე გამეფდა. რუსთაველმა შეხედა თამარს და დადგა: მის თვალებში ორი გამჭვირვალე ცრემლი კიაფებდა.

– რად მომიყვები, პოეტო, ეს ზღაპარი, ვანა შენ არ იცი?... შოთას მკვდრის ფერი დაედო. როგორ შეეძლო დაიწყებოდა? მას ხომ დაგნინილი ჰქონდა, რომ თამარსა და დემნას ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი, რომ თამარის მამამ, უძლეველმა და სიყვარულმა, მეფე გიორგი მესამემ, ამ სიყვარულის გამო შეიჯავრა საკუთარი ძმისშვილი.

და რომ დაეფარა ქალშვილი დემნას გავლენისაგან, გიორგიმ ჩაკეტა ის ქაჯეთის ციხეში. უფლისწულმა დემნამ, თვითონ ტახტის მემკვიდრემ, შემოიკრიბა მომხრეები და სცადა შეემძობებოდა გიორგის. ბრძოლა დემნას მარცხით დამთავრდა. გიორგიმ დაატყვევა ძმისშვილი და თვალები დასთხარა.

– ნუთუ, თამარს ისევე უყვარს დაბრძობებული უფლისწული? – წყნარად წარმოთქვა შოთამ.

– მე არ მინდოდა შენთვის ტკივილი მომიყენებინა, – ხანმოკლე დუმილის შემდეგ ალაპარაკდა თამარი, –



რაბინი დავით ბააზოვი

● 14 წლის დავითმა მიატოვა შშობილი სახლი ცხინვალში და სახანაველებად თბილისის გაემგზავრა. შემდეგ სწავლობდა სლუცკში, ვილნოსა და მიწსკო, სადაც 1903 წელს გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე რახელ რახოსია. მისიკიდან დავითი რაბინის ნოდენით ბრუნდება საქართველოში და ომში დღებს ბინას. ამ პატარა ქალაქიდან იგი კავშირებს ამყარებს სხვა ქვეყნის ებრაული სათვისტომოების ლიდერებთან.

1903 წელს 20 წლის დავით ბააზოვი მონაწილეობს სიონისტთა მსოფლიო კონგრესში, რის შემდეგაც ავეჯარი თავყრობების მუდმივი მონაწილე გახდა. მან პირველმა ებრაელთა შორის ქართული პრესის მემკვიდრით მიმართა საქართველოს ებრაელებს, წინ აღდგო მემკვიდრე ებრაელთა გადარებასა და ებრუნათ თვითგადარჩენისათვის.

1917 წელს ბაქოში გამართულ სიონისტთა კონფერენციაზე თავის გამოსვლაში დავით ბააზოვმა გულსიტყვილი გამოთქვა ზოგიერთი ნაციონალისტების მტკიცების გამო, თითქმის „ებრაელები არან არა ვრის, არამედ რელიგიური სექტა, და რომ აუცილებელია მათთვის ეროვნული უფლებების ჩამორთმევა“. ამ ახსურდის გამორტესტების შემდეგ დაიწყეს მისი დევნა-შევიწროება. იგი ერთხელ მოიტაცეს კოდვც და სასტიკად წაწამეს, დახერხებიათა დაემუქრნენ. მოუხდავად ამისა რაბინს ფარ-ხმალი არ დაუყრია. 1918-1919 წლებში მან იმოგზაურა როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის ქალაქებში და ახალგაზრდები ეროვნული აღორძინების იდეებით განაწილა. 1919 წელს იმ დროისათვის საქართველოში ექიმ მიხეილ შტრეინბერთან ერთად მიიწვია საქართველო ებრაული პირველი სიონისტური კონგრესი.

20-იან წლებში რაბინ დავით ბააზოვის მოწოდებით საქართველოს მრავალ ქალაქსა და რაიონში სპეციალურად ებრაული ბავშვებისათვის იხსნება ლის სკოლები, შეიქმნა ებრაული ბიბლიოთეკები, მხატვრული თვითშემოქმედების ანსამბლები, თეატრალური ჯგუფი „კადმის“, ხოლო 1922 წელს თბილისში გახსნა 102-ე ებრაული სკოლა, სადაც ძველბრანულ ენაზე ასწავლდნენ ებრაული ისტორიისა და ლიტერატურის. ეს სკოლა, სამწუხაროდ, 30-იანი წლების ბოლოს დაიხურა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავით ბააზოვის ფილოსოფიური მოღვაწეობა. ეთიკის ძირითად პრინციპად რაბინის მიაჩნია სულის უცილობელი თავისუფლება: „ყოვლის შემძლე ღმერთმა იცის ადამიანის ძალა, მაგრამ არ მართავს მას. ადამიანი სასიკეთოდ უნდა იღვწოდეს არა ჯილდოსათვის, არამედ თვით სიკეთისა და ღვთის სიყვარულისათვის. ყველაზე დიდი ნეტარება დედამინაზე არის ჭყმარირების შეცნობა – ნეტარება ღვთის შეცნობის ტოლფასია“.

დავით ბააზოვი სამტრია ხელისუფლების წლებშიც არ მიუტოვებია სიონისტური მოღვაწეობა, რაც გარკვეული მიზეზების გამო ფარულ, ზოგჯერ კი იატაკქვეშა სახითაც ახარებდა. 1938 წელს იგი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს.

დაპატიმრების შემდეგ სასაბრლოოდ მან ამაყად განაცხადა: „ებრაული ისტორიას არა ერთი ნაშეუღლი ახსევს. რაბინი ბააზოვი ადღეობს ღმერთს და მზადაა თავი შესწინოს თავისი ხალხის რწმუნებასა და ბედნიერებას“. ეს სიტყვები სიციხის წყაროა, იგი ძალის გემამტებს – ამბობდნენ ებრაელები.

... დღეს, ათეული წლების შემდეგ, შეგვიძლია დამაჯერებლად ვამტკიცოთ, რომ დავით ბააზოვი საქართველოს ისტორიის ნაწილია, იგი ქართველი ებრაელობის ისტორიაა.



ბერსელ ბააზოვი და სამართლებელი

● გამოჩენილი ქართველი ებრაელი მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი და საზოგადოებრივი გერცველ ბააზოვი რაბინ დავით ბააზოვის შვილი და მამის მის ღირსეული განმედიობა.

... „მთელი ჩემი ცოდნის აქტიური და საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ სწრაფობა და უსამართლობასთან შეურაცხველობისათვის მამამისი – რაბინ დავითის მადლოერი ვარ, – ამბობდა უკვეცვი ბააზოვი. – მის დარჩენებზე განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩემს პროვინებად ჩამოყალიბებაში და მთელი ჩემი ცხოვრება მამის რჩევა-დარიგებების განხორციელებას მივუძღვენი“...

მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე იგი უარცხად მეცხოველი დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ქართველ ხალხთან. ბააზოვს უყვარდა და სათანადოდ აფასებდა საქართველოს, რამეთუ იგი დიანადა, გაიზარდა და დაეკაცცდა საქართველოს.

გ. ბააზოვი ვერ კიდევ სკოლის შერხიდან მეგობრობდა ქართველ თანატოლებთან. 1921-22 წლებში გრიხა ჯავახიშვილის ინიციატივით ონის დაარსებული იქნა ჟურნალი „ონი“, სადაც დამიტრია ვანგიბლიძეთან (შემდგომში თეატრმწოდენ პროფესორი) ერთად გერცველ ბააზოვიც მონაწილეობდა.

სახალხო მხატვარმა უჩა ჯავახიშვილმ 1960 წელს – საოუბრობო დღეებში, გახუთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გერცველის ხსენებას ვრცელი წერილი უძღვნა, ხოლო შემდეგ – გრავიული პორტრეტც (აღნიშნული პორტრეტი ნუგუმძღვარე ალბონს გერცველის შესახებ, რომელიც მე შევაგდინე და გამოეციე 1990 წელს ისრაელში, მ. ბ.).

1923 წელს ვალაკტიონ ტაბიძემ მისივე სახელწოდების ჟურნალში დაბეჭდა გერცველის ლექსები და თარგმანები. იმ ლექსებს შორის გამოირჩევა „პალევი“. გერცველ ბააზოვის ლექსები იმდებდნენ აგრეთვე ჟურნალში „ტრიონა“ და „თეატრი და ცხოვრება“. ტრიონაში პირველად დაიბეჭდა გერცველისგული თარგმანი ძველ ბერძნულადან ქართულ ენაზე „კალთაბა და კალთაბა“, რომელიც შემდეგ 1927 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ს. გორჯაძის წინასტყვით.

1927 წელს გ. ბააზოვმა დაამთავრა ვკონომიურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. მუშაობდა მოსამართლედ. მისი ხანმოკლე უურიდელი მოღვაწეობის შესახებ მოგონება დადგვიტოვა პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ ჟურნალ „სამტრია საზოგადოება“ (1970 წ. №2).

გ. ბააზოვი უყვარდა მის პედაგოგებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. განსაკუთრებული ყურადღებით იყურებოდა მას გამოჩენილი პროფესორი იუზოსურდღევის დარგში – ლუარსა ანდრონიკაშვილი.

1935-38 წწ. ბააზოვი საქართველოს დრამატუკის თავმჯდომარეა. თეატრის კორფემ გამოჩენილია რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა მოიწონა გერცველი, როგორც დრამატურგი. ამის შემდეგ იყო მის, რომ 30-იან წლებში დღოდ ანათაბის რეჟისორობით კ.მარჯანიშვილის სახელობის თეატრში იდგებოდა გ. ბააზოვის პიესები: „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „განურგვლავა პირველმა“, „იცა რიფინაშვილი“. ქართველმა კრიტიკოსებმა გ. ბააზოვის დრამატურგიული შემოქმედება დადებითად შეაფასეს, ხოლო მისი სექტელური მყოფრებელი ფართო საზოგადოებში წარმატებით სარგებლობდა. რეჟისორმა დღოდ ანათაძე თავის მემუარებში „დღეები ახლი წარსულისა“ – გ. ბააზოვზე ერთბაშად თბილი მოგონებები დაგვიტოვა.

საყოველთაოდ ცნობილია გერცველის ურთიერთმოგობობა და სიყვარული გამოჩენილ ქართველ კრიტიკოსთან ბესარიონ ლეტინთან. 1964 წელს გ. ციციშვილმა გამოაქვსა გ. ბააზოვის შესახებ მონიერგრაფია. იმავე უკუთრები ზელემორედ გამოიცა გ. ბააზოვის პიესები და რომანი „ეფიბია“.

1964 წელს ქართველმა საზოგადოებრიობამ (კალთურის მინისტრი თ. ბუაჩიძე) ფართო მასშტაბით აღნიშნა გ. ბააზოვის ხსენების საღამო თბილისში, ქუთაისში და ომში. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გამართულ საუბრობო საღამოზე თამაშცდვარი მოგონებით გამოვიდა საქართველოს სასიტყვო მშეილი, სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე. დაუყინარა იყო მსახიობი კარლო საკანდლიძის მიერ ნაკითხული გერცველის ლექსი – „თედელევი“. საგულბისშია მისი ფოტო, რომ სახალხო რეჟისორმა გიგა ჯავახიშვილმ ომში ასჯერ დაბეჭდა და ბააზოვის პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“, რამაც რეჟისორის ფართო აღიარება მოუტანა.

ასე შემოინახა ქართველმა საზოგადოებმა გერცველ ბააზოვის ნათელი ხსენება.

გერცველ ბააზოვი 1938 წელს დიქტატორული რეჟიმი ემსხვერპლა. 1955 წელს იგი ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის მიერ იქნა რეაბილიტაცირებული.

ნათან ბააზოვი

ლირიკული ციკლი



ნათან ბააზოვი... მეცნიერი, მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. გახლავთ ჩინებული ქართველი მწერლის გერცელ ბააზოვის ვაჟი და საქვეყნოდ განთქმული სასულიერო მოღვაწის დავით ბააზოვის შვილიშვილი. დღეს იგი ბააზოვის საერთაშორისო კულტურული ფონდის პრეზიდენტია. იგი არის ეროვნებათმცოდნეობის ურთიერთობის სათათბიროს ვიცე-პრეზიდენტი.

ნათანი განათლებით ფიზიკოსია, მაგრამ მონადებით – პოეტი. დიდი გატაცებით თარგმნის თანამედროვე და კლასიკური ქართული პოეზიის ნიმუშებს. 1992 წ. გამოიქცა მისი რჩეული ლექსები და თარგმანები, ხოლო სულ ახლახან გამოქვეყნდა „აზრმა“ დისტამბა მისი ახალი ნიგნი „ჩემი ებრაული თემები“ – პოეტური, პუბლიცისტური, ფილოსოფიური და რელიგიური ეტიუდების კრებული.

1985 წ. თანამედროვე ქართული პოეზიის მალაქნატორული თარგმანებისათვის მას მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია. ამას წინათ კი გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა და, როგორც პოეტს, გადაეცა ღირსების ორდენი.

ნათან ბააზოვის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ორიანასამდე ლირიკული ტაგები, რომლებიც ხშირად იბეჭდება რუსულ და ქართულ პრესაში. ამჟამად ვთავაზობთ რჩეულ ტაგებებს მისი ნიგნიდან „სიყვარულ“.

ხშირად ფრთებს გვასხამს ჩვენი ცხოვრება, ხშირად გვაშინებებს, ხშირად გვანაზებს, თუ არას ექმნი და არაინ მოყვარს, მამ, რისთვის გაეწინა ამ ქვეყანაზე?

სხოვნის ძაფები ნელ-ნელა დაწყდნენ, მაგრამ გზას ხსინისა ვერ შევადგე ჯერაც, თავდავიწყება ადვილად უძველად, გადავიწყება – ვერა და ვერა.

ჩვენ ვერ შევამკობთ სიყვარულს სიტყვით, მას არ ხსირდება ქებათა ქება, რადგან ახალი რაც კი გვევლინა, ადრეც მომხდარა და ახლაც ხდება.

მე ვენებოვობდი ნაკადულებში, აქა-იქ მხევი ვიგრძინე მხოლოდ, და დამოკლები შენსკენ ვერ ზღვამი და მის ზვირთებმა წაწლიეს ბოლოს...

ვერვინ გაუგო სიყვარულის გემო, რის გემო დაჰკარვს ტკბილის თუ მწარის, სიყვარული ნუგზარი კერძი, თაფლით, პილპილით, მარილით, მშარით.

მირბიან წლები და სიჭაბუკე ქრება ნისლითა და კვამლის დარად, მაგრამ მე მოყვარს და ეს კი ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ვიქნები მარად.

ტრფობა ხომ რთული ნაგებობაა, ბევრმა ამაოდ შესწირა სული, დიდხანს ვაგებდი და ვერ ავაგე, სხვის კუთხეში ვარ შეკედლებული.

ორივე ერთი გვწყალობდა ბედი, ორივე ერთი გვფარავდა ალბით; ერთი ეპოქა, ერთი სამყარო და სიყვარულიც გვებოძა ერთი.

ოღსენე ალბათ იტყვიან ჩემზე: ინოად ცეცხლით მარადილეთი. როგორ ცხოვრობდა? ო, დიდებულად! უყვარდა სატრფო სულით და გულით.

მენატრებოდა მშვიდი ცხოვრება, ვახლამ ნაღველი დიხანსა აგროვ; ტრფობის კოცონი ხანძრად ჩავთვალე და დარწყულეთი ვცადე ჩაქრობა.

წლებმა უწყალოდ არივ-დარივის ახლის სიმკაცრე, ძველის სინაზე, დღეს ისტორია მინაზე მეფობს და სიყვარული ისტორიაზე.

ახლოდან ნუ სვი შენ ხელოვნებას, ანასტორის ეფეტის ამაოდ ელი, რომ დაფასო გრძობა ნამდვილი სჭირდება ხშირად სიცოცხლე გრძელი.

ვაზომეთ ჩემი გრძობა ლექსებით, რა სიყვარულის ვინოდი ალბი, ცხოვრებას ძალბობს შევძინო ბეჭერი, მაგრამ დავარჩები მე მაინც ვალში.

შვი, თამადავ, კარგი იქნება, თუ მოკლად იტყვი სათქმელს გულისას, ამიქნეს თასი მე სანუკვარი და დავლევ მხოლოდ სიყვარულისას!

წლების მანძილზე სიტყვასთან ჭიდილს მე შეეღებე ძალი და ღონე, თუ ვარ პოეტი, ეს მე არ ვუწყი, მაგრამ სიყვარულს ნამდვილად გმონებ!

წლების არად ვაგებდით, ზღვა ცხოვრებისა წინ მიგვაქროლებს ხომალდს დარად, გზებით და თითოლით დაუსრულებლად ველით და ვეძებთ სიყვარულს მარად...

შიქელ ბრძნული შენ ნათვლილვია: უფრო ახლოვანდ სიძულვილამდე სიყვარ ახლოა, ვიდრე პირიქით სიძულვილიდან სიყვარულამდე.

მოგვევლინება ჩვენ სიყვარული ყველას თავისი იღბლით და ბედიით, ზოგს, როგორც ტკბილი ტიტინი ბავშვის, ზოგს, როგორც ბოლო სიმღერა გადის.

გულს ნუ ვაიტებს და ნუ დაიარცხვენ, გამოასწორე შენი გუნება, შენ ჩემს გულში ჩაეარდნას ლამობ, გაბედე კარზე მოკაკუნება!

ციფრობობდი, ვერდი, მიყვარდი გრძობით, გიძვინდი ლექსებს, გეტრფოდი, ხოლო შენ არ გესმოდა არასდროს ჩემი, მათით სულ ცოდეგებს ეძებდი მხოლოდ.

დე, იყოს ქარი, წვიმა და თოვლი. ცივი ქარზეტი დაჰქროდეს გზაზე, მე სულ მჯივრე რამ მჭირდება ღვთისგან: შენ იარსებო ამ ქვეყანაზე.

ვეჭირობ, სამყარო გაჩნდა იმისთვის, რომ ღმრთისაგან განანავლები ამ ქვეყანაზე სულ ერთი ნამით შეხედვდრილიყვენ ჩვენი თვალები.

ციყვარდეს წმინდად და ლოცულობდე, იმ განარისხო გული უფლისა, სიყვარულია სახელი ღმერთის, ღმერთია რწენა სიყვარულისა.

სიყვარული და უფალი ღმერთი განა რამ გააწყოს გახსოვდეს მარად: თუ გიყვარს, არ ხარ ურწმუნო მაშინ, დე, ღმერთი გყავდეს მხსნელად და ფარად!

გადაუფრინა ფუტკარმა ველები და ამოსწურა ყვავილებს ნამი, და ვაზაფხულს ნობათისაგან ზოგს თაფლი ერგო და ზოგსაც შხამი.

იქქარე ლაღად აფრინდე მალა, ცის კაბადინზე ვაშალი აფრა, ჩვენ ვერ ჩამოყვინთ წარსულ სიყვარულს, მაგრამ დრო თითონ ჩამოგწვრნს სწრაფად.

მლაზე ზვირთები სიყვარულისა, ზათითი და ბორვითი აღვედეს ცამდე, ხსნას ნულარ ეძებ, ჯერ ზუგატორცინის, მერე გულგრილად გაგრიყავს სადმე.

უცებ დაბებრა ზამთრის ქარბუქმა, გმოაცვალა ჩვენ გულებს სითობ, შეცდომა იყოს ის სიყვარული, მაგრამ რამდენი ვიგემთ სიტკობ.



იერუსალიმი - დედამინაზე ერთ-ერთი უძველესი ქალაქია... ებრაელთა ყველაზე საბაპტო, ერთადერთი დიდი ქალაქი მსოფლიოში, რომლის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ცხოვრობს იქ მხოლოდ იმიტომ, რომ თვლის, ეს ღვთის ნებაა. მორწმუნეთა ღრმა რწმენით, მის მცხოვრებლებს ყველა ცოცხალი მიეცემა. აქ არის „საგოდებელი კედელი“, ტაძარი უფლის საფლავით და აქვეა ომარისა და ალ-აკსას ცნობილი მუსულმანური მეჩეთი.

იერუსალიმში ყოველთვის უმარავი ტურისტია. ისინი ჩამოდიან გადარჩენილი არქიტექტურული ძეგლებისა და ხელოვნების ნიმუშების სანახავად. მათ აქ, და მხოლოდ აქ, უნდათ იხილონ წარსული, ანმყო და მომავალი აღთქმული მიწისა.

იერუსალიმის ათეულ კვარტალთა შორის, ადგილობრივი ებრაელებით რომაა გადაჭედილი, „ქართველთა კვარტალი“ და ეს კვარტალი მრავალენოვანია. აქ შეიძლება მოისმინო საუბარი არა მარტო ქართულად, არამედ რუსულად, უკრაინულად, ინგლისურად, ფრანგულად,



ლად, ბერძნულად. მაგრამ... მაგრამ, როცა გაიგეს, რომ თბილისიდან ჩამოვედი, არჩივს ჩემთან მხოლოდ ქართულად ესაუბრათ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ირგვლივ მყოფნი ოცდაათი და მეტი წლის წინ წამოვიდნენ საქართველოდან, ემიგრანტთა პირველ ნაკადთან ერთად.

გრიგოლ დათიკაშვილი, რომლის მისამართიც ამჟამად ბლოკნოტში მინერია, ჩემი ძველი ნაცნობი და მეგობარია. თბილისში მე ვცხოვრობდი ჩალაუბნის ქუჩაზე, ლესელიძის ქუჩის მახლობლად, ის - პურის მოედანზე. ორთავენი ვსწავ-

ლობდით 43-ე საშუალო სკოლაში, სწავლის შემდეგ ორთავენი ვმუშაობდით სახმელრო-კარტოგრაფიულ ფაბრიკაში. ამდენი ხნის განმორების შემდეგ ჩვენი შეხვედრის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გრიმა დათიკაშვილის ოჯახს ძალიან უჭირდა, მამამისი მექედელი იყო, ხუთი შვილი ჰყავდა - ოთხი გოგო და ერთი ვაჟი - გრიმა. გრიმა ყველაზე უმცროსი იყო. ოჯახს თავი ძლივს გაჰქონდა.

სკოლის შემდეგ, ბიჭს სწავლის გაგრძელება სურდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურულ ფაკულტეტზე, მაგრამ მისი ოცნება

თბილისი, ძველი ქალაქი - აქ, სადაც აღმართულია ნარიყალას ციხე, მეტეხის ტაძარი - ერთ-ერთი უძველესი საქართველოში, სადაც მეფე ვახტანგმა პირველად ჩაუყარა საფუძველი თბილისს, რომელსაც შემდეგ წილად ხვდა, საქართველოს დედაქალაქი გამხდარიყო, სადაც ახლა ვახტანგ გორგასლის ძეგლია, სადაც კოპნიათზე დარეჯან დედოფლის სასახლის აივნები, სადაც ჩამოსულ სტუმართა წინ გადამოღობია ვინორი, დაგრეხილი ქუჩათა ლაბირინთი მრავალრიცხოვანი შესახვევებითა და ჩიხებით, გაშენებულია ყველა ძველი თბილისელებისთვის ცნობილი ებრაელთა უბანი.

ვინ უნდა პირველად ეს სახელები - ისტორია დუმს. ერთი ამბობენ, რომ ებრაელები აქ მოვიდნენ იერუსალიმიდან, გამოცხვენენ რა მრისხანე ნაბუქოდონოსორის ცეცხლსა და მახვილს, მეორენი ამტკიცებენ, რომ ისინი სპარსეთიდან

თბილისი:

გადმოსახლა არანაკლებ უმოწყალო შპა-აბასაშო. ებრაელები კი, მისი ძველი მცხოვრებლები, ერთხმად ამტკიცებენ, რომ ისინი აქ ცხოვრობენ საქართველოში უცხო ტომის დამპყრობთა შემოსევამდე და ქართველებთან ერთად იბრძოდნენ შპა-აბასისა თუ სისხლიანი ჯალალედინის წინააღმდეგ.

აქ ბევრი ებრაელია. თითქმის ყველა ეზოში, ყველა სახლში ცხოვრობენ ისინი. მაგრამ ბევრიც ემიგრირებულია 1970 წლის შემდეგ, როცა უფლება მიეცათ აღთქმული მიწაზე დაუბრკოლებლად წასულიყვნენ.

მხოლოდ სახელწოდება დარჩა ბევრი ქუჩის, სახლის, ეზოსი. მოვიგონოთ რიყინაშვილის ქუჩა, ისააკის, იერუსალიმის, ცნობილი ფეთხანის. მოვიგონოთ ხაიმ მოში-

აშვილის და იზრაელ პაპისმედოვის ქუდების სახელწოდებები, სოლომონ იცოკ პუხოვის, ანტონ გულსტის, რაბილ შმულევიჩის კბილების საპროტეზოები, ბარტყულაშვილის, ჯანაშვილის, მიხეილსონის აფთიაქები და ბევრი, ბევრი სხვა. ყველა ისინი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ თბილისსა თუ სხვა ქართულ ქალაქებში.

აქ დღესაც მოქმედებს ებრაული სინაგოგა - ძველი თბილისის არქიტექტურული ძეგლი. სინაგოგის წინ, პატარა ბაღში, ახლაც იკრიბებიან მოხუცი თუ ახალგაზრდა ებრაელები, იხსენებენ წარსულს, საუბრობენ მომავალზე.

XIX საუკუნის ბოლოს და XX-ის დასაწყისში, იქ, სადაც დღეს აბანო-თუბანია, პურის მოედანია, სინაგოგაა, იყო ებრაული სასწავლებლები



სამშობლოში სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ ასრულდა. მხოლოდ ისრავლში დაასრულა მან სწავლა გამოყენებითი ხელოვნების სასწავლებელში და თავისი წვლილი შეიტანა რკინიგზის სადგურების, საზღვაო პორტების, ხიდებისა და გზატკეცილების არქიტექტურული პროექტების შექმნაში. მისი მთავარი დამსახურება თანამედროვე ქართული გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები ფუნჯისა და საჭრეთელის ქართული ოსტატებისა, დაწყებული 60-იანი წლებიდან დღემდე.

– მაგრამ მე დღეს მიცნობენ აქ არა როგორც გრიმა დათიკაშვილს, არამედ როგორც გერმონ ჰამბურგს – დედის ძველი გვარით. საერთოდ, არამარტო მე, საქართველოდან გადმოსახლებულმა ბევრმა შეიცვალა გვარი, დაიწყეს თავისი უძველესი გვარის ფესვების ძებნა დედის მხრიდან. ძალიან ბევრი ჩვენი მეგობარია თბილისიდან, იმავე 43-ე საშუალო სკოლიდან, ახლა ისინი სხვა გვარს ატარებენ. მაგალითად,

ივეტა კოვანი – ივეტა ბლიუმი გახდა, სტანისლავ შალოვაშვილი ცნობილია, როგორც ექიმი სტას ბრიკი. ასეთები ბევრია.

და დიდხანს ჰყვებოდა ყოფილი დათიკაშვილი, დღევანდელი ჰამბურგი, იმის შესახებ, თუ როგორ იკრიბებოდა ისინი და იგრობდნენ მშობლიურსა და ძვირფას თბილისს, სწავლის პერიოდს, თავიანთ პირველ და საყვარელ პედაგოგებს.

საქართველოს სული ყოველთვის ტრიალებს ისრაელის, განსაკუთრებით, იერუსალიმის თავზე. აქ ბევრი ქართველი იყრის თავს – ებრაული უბნების მცხოვრებნი თბილისიდან, გორიდან, ქუთაისიდან, კასპიდან, ხაშურიდან, ზესტაფონიდან...

ეს ფიქრი არ მშორდებოდა ისრაელში ჩემი ყოფნის მთელ პერიოდში.

არამარტო გრიგოლ დათიკაშვილთან მოიხილა შეხვედრამ იერუსალიმში. სასიამოვნო იყო ყოფილ რუსთაველ მშენებელ-ინჟინრებთან შეხვედრა – იაკობ მილშტეინ და ბორის პერელმანთან, ბულაღტერ მოსე რეზნიკთან, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე საბილეთო სალაროების დირექტორ-

თან – ბენო რიჟინაშვილთან, მკერავე აბრამ კობიაშვილთან.

ბევრი მათგანი საკუთარ რესტორნებს, კაფეებს, ოტელებს, კბილის საპროტეზო კაბინეტებს მათთვის მშობლიური საქართველოს სახელებს არქმევს: რესტორანი „საქართველო“, კაფე „ტბილისი“, მაღაზია „მტკვარზე“, სამკერვალო „ციციანთელა“. ბენო რიჟინაშვილმა კი კბილის საპროტეზო კაბინეტს უწოდა რუსთაველის პროსპექტის ძველი სახელწოდება „გოლოვინკა“.

საქართველოდან სტუმრები იქ ყველაზე ძვირფას, ყველაზე ახლობელ ადამიანებად მიანიჭათ. მათთვის ილია სული და გული, მათთვის ყოველთვის აქეთ საუკეთესო სულგუშინი და ტყვემალე, ხაჭაპური და ხინკალი. მწვანესაც წვავენ და არანაკლებ, ვიდრე თბილისში, „ჭაჭა“ მოქმედებდა და ნამდვილი ზვანჭკარაც. თანაც ზუმბოზასაც დააყოფენ უნდ ხოლმე: „ო, ებრაელებს ყველაფერი შეუძლიათ, სტუმრისათვის კი ყველაფერს გააკეთებენ. მაშ, შევკავთ ჩვენი მშობლიური და ძვირფასი საქართველოს სადღეგრძელო, შემდეგ კი ისრაელისა – ჩვენი აღთქმული მიწისა“...

დავით რაივიშვილი

ეპრაელთა უბანი



ლიც, რომელსაც ხელმძღვანელობდა ებრაული კულტურის ცნობილი მცოდნე, კეთილშობილი ადამიანი – ისაკ კენიგსონი, ყოფილ აკიმოვის

ქუჩაზე კი, №10 სახლში, იმყოფებოდა ებრაელთა სრული საშუალო სკოლა. სკოლის დირექტორი, ოდესღაც სახელგანთქმული პედაგოგი ლეიბ კანტორი გახლდათ. ებრაელთა სალოცავში ღვერდა იაკობ ხარლაფისა და მენდელ მარკუსის ქადაგებანი.

თბილისში იყო აგრეთვე ებრაელთა ყოფა-ცხოვრების მუზეუმი, საქველმოქმედო საზოგადოებები და სხვა მრავალი საზოგადოებრივი დანესებულება.

ახლა თითქმის აღარ არის ყოველივე ეს. ებრაელთა უმეტესობა თბილისიდან წავიდა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, ზოგის სახლი დაინგრა და მცხოვრებნი გადავიდნენ ქალაქის სხვა რაიონებში ან ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. მაგრამ წარუშლელია მათ

სოვნაში კეთილი მოგონებანი თბილისის შესახებ. შეუძლებელიცაა სხვანიარაკო. აქ ხომ ათეული და ასეული წლების მანძილზე ცხოვრობდნენ მათი წინაპრები, აქ გაიარა მათმა ბავშვობამ და ახალგაზრდობამ, აქ ისწავლეს წერა-კითხვა და შეიყვარეს შრომა.

წლები მიდიან. ადამიანები ხუცდებიან, ავადმყოფობენ, კვდებიან, მიემგზავრებიან, ცხოვრება კი გრძელდება. ებრაელთა უბანი ცხოვრობს, წასულებს ახლები ცვლიან, ცხოვრება დღეს და იმედია, რომ ასე იქნება ყოველთვის, რომ ებრაელები და ქართველები ისევე მეგობრულად იცხოვრებენ მომავალშიც, როგორც ცხოვრობდნენ ორიათსაუკუნესაღის წლის მანძილზე.

ქათევან ჩხაიძე




სიმსა აღარი (აქიაშვილი)

რა ხალხი ვყოფილვართ

რა ხალხი ვყოფილვართ –
 თქვენ ვსურდათ გაგვეთქო?
 მამ, იქნებ ინებოთ და ყური დაგვიკეთოთ.
 თქვენ თურმე არ გვიცნობთ, თქვენ თურმე არ იცით,
 როგორ ვენამეთ და მაინც არ დავიციეთ.
 თქვენ ვსურდათ გაგვეთქო, რა ხალხი ვყოფილვართ,
 ან როგორ აღვმდგარვართ, როცა დავმხობილვართ,
 ან როგორ ვაუძლებთ განსაცდელს ამოდენს,
 ანდა მართალია თუ ვინმეს ამოდებს,
 რომ მართლა რჩინის თუ ფოლადის ერი ვართ,
 რომ, როცა სისხლი გვდის, მაშინაც ვმღვრივართ.
 თუ კაცის მკვლელები ვართ ან აგრესორები,
 ალესილი ნარსულის ანგარიშსწორებით.
 სრული სიმართლეა თუ მართლა მითია
 და ეს ყველაფერი მიეთ-მოეთია...

რა ხალხი ვყოფილვართ –
 თქვენ ვსურდათ გაგვეთქო?
 კეთილი, გვისმინეთ, ექვედებით გაგნადოთ:
 ჩვენ მაქაველთა ვართ შიამოშალოთ,
 ოღითვან მახვილით გვმანიავდა ტარავალი,
 ჩვენი ისტორია თელის საუკუნეებს,
 უამრავს ვაუძლებთ ცეცხლს და უკუნეთებს,
 უამრავ „ფარყოს“ თუ „აშანს“ და სატანებს,
 მაგრამ დღევანდლამდე მაინც მოვიტანეთ,
 მაგრამ დღევანდლამდე არ დავინეგებულა
 სახელი იმითი, ვინც კი დაეცემულა.
 ზეცისკენ ხელები ვედრებით აწვილი,
 მიმი და იმედი: „ნეტა, ვის რა ელის?“,
 რადღობით ნათქვამი: „შემა ისრაელი“,
 როგორც დახუნძულილი ხეები ვამბობით,
 მკვდრებით ოსვენციმი და იად-ვაშემი,
 გაზის კამერებში შერეული „სალავი“
 და მკვრელ ყვითელი დავითის ვარსკვლავი...
 სიკვდილის მანქანამ ვერ გადაგაგვუნა,
 დავითის ვარსკვლავი გვეშუქვდა მაშინაც,
 როცა მტრის ტყვიები ზუზუნით გავენივდა
 და ძალის ბოლომდე ბრძოლისას გვაძლევდა.
 რა ხალხი ვყოფილვართ,
 რისთვის ვაგვიძლია
 და უმედიბა არასდროს გვიგარნიდა.
 ნარსული პირშეკრული იარაღ ვეგანია,
 სამშობლო – დღეს ჩვენი სახლი გაგვანინა,
 სისხლით და ცრემლებით ერთ დროს ნასველები
 ნალკობად ქცეული მთები და ველები
 და მონაპოვითი მშრომელი ხელები
 სახტად დარჩენილი მისი მნახველები.
 რა ხალხი ვყოფილვართ?
 – სახემი ჩაგვხედეთ,
 საზღვარაშენ მდგარად მდგარ ვარისკაცს შეხედეთ,
 მტრის ავი ზრახვებით ცეცხლად რომ ენთება
 და გმირულ ლეგენდად აქცია „ნეტა“.
 ჩახედეთ მის დედას ნაღვლიან თვალებში,
 თავისი გმირით რომ ამაყობს ქალბები,
 შვილის და მშვიდობის ლოცვად რომ იღვრება,
 ზოგჯერ შვილს კარგავს და მაინც არ იხრება.
 მაინც არ იღვრება მშვიდობის ღლიდინი
 და უმედიბაა ჩაპოქოლავს ოღლებით.
 ცდილობს, რომ ოლიმპით დამალოს ქვითინი
 და არიბოს ივრითზე ციციქების ტიტინი.
 სიმურნა ისმინეთ ჩვენი და ლეკები,
 რა უნდა ინატროთ სხვა უკეთესი?
 ჩვენ – ციციხა ერი და მაინც რა დაიდა –
 შეხედეთ, რა ვხარობთ ხვალის განიდადით.
 როგორი ვამძლე და უდრეკი ერი ვართ
 და, როცა სისხლი გვდის, მაშინაც ვმღვრივართ.
 შეხედეთ, იგრძნობთ და თქვენც მოიხდებთ,
 რომ თუხტა შეასხათ ამ ხალხს და იღვრება.
 ნახეთ, რომ ვიზრდებით და არ დავმხობილვართ:
 ნახეთ და გაიგებთ
 რა ხალხი ვყოფილვართ!



დავით ბუზუაშვილი

● საქართველო ათადან-ბაბადან ითვლება ებრაელთა ერთი ტომის კეთილსამძღლო ნავსაყუდელად.
 ქართველთა უზადლო მასპინძლობით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენი პლანეტის უმრავლეს ქვეყნებში მოსახლე ებრაელთაგან მარტოდენ ქართველთა მინა-ნებაზე დამკვიდრებულმა ებრაელებმა შესძლეს შენარჩუნებინათ სოლომონ ბებრის ენა – ივრითი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია დედამიწაზე.

საუკუნეთა მანძილზე ერთი ქირის მქონე და ერთი ლხინის მოზიარე ქართველთა და ებრაელთა უზადლო მეგობრობაზე დასტამბული ნივთების ავტორები ზ. ჭიჭინაძე და ა. ციციშვილი ამ ერთა ურთიერთობის საწყის თარიღად მიიჩნევენ „ქართველთა ცხოვრებაში“ მინიშნულ იმ გამმოცემას, რომელიც შეიცავს ნახუქოდნოსოსორის მიერ დაამკვიდრებულ იერუსალიმიდან ოტებულ ებრაელთა მცხეთაში მოსვლის ვერსიას.

ეს მაშინ, როცა, იმავე „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილა ბევრად ადრე მომხდარი ამბავი, რომელიც თვანადალივც ცხადყოფს ქართველთა კეთილად მახასიათებელ თვისებას.

... მოვიდა ამბავი ვითარმედ მოხდენილ ზღვა ისრაელთა (იგულისხმება – ზღვა მენამული – დ. ბ.) და იზრდებოდნენ იგიური უღანისას მანათია. გააკვირდეს ყოველი და მათ ყველა წარმართთა აქვს ლმერთი ისრაელთა“.

დაბუერებებით შეიძლება თთქვას: მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში ვერ შეხედებით მსგავს მაგალითს იმისას, რომ მოსვლა და ქრისტიან რჯულის მქონე ხალხებს ისეთი შესასურრი სიამტკილობით ეცხოვროთ ერთმანეთის გვერდი-გვერდ, როგორც ათეული საუკუნეების მანძილზე სტუმარ-მასპინძლობენ ერთმანეთს და ქართველები.

ამიტომაც აქსიომად ვლერს სიტყვები ზაქარია ჭიჭინაძისა მისივე ნიგინიდან – „ქართველთა ისრაელინი საქართველოში“: „არც თქმულა, არც გაგონილა, რომ ოდესმე ქართველ ებრაელს ან საქართველოსათვის ელაზღბოს ამ ქართველი მეფისათვის“.

ცხადზე-უცხადისა, საუკუნეების შევლდაბეჭდული ქართველებისა და ებრაელთა მეგობრობის ამბავი ბოლოს და ბოლოს გასცემბოდა საქართველოს ფარგლებს.

საბუნებრივია კითხვა: ვინ ასხამდა ქება-დიდებას ქართველ ხალხს? რაც მთავარია, თავად ყოველად უცილობელი ფაქტი იყო მრავალმეტყველი. რაც შეეხება პროვინციებს, ამ მხრივ ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის ცნობილი მწერლის გერცელ ბაზაზოვის მამას – დავით ბაზაზოვს, რომელიც გარდა იმისა, რომ ფრიად ერუდირებული პროვინცია გახლდათ, შესხადავდაც ერთობ მომხიბვლელი იყო. დავით ბაზაზოვს ამ მისიხზე ფრიად საგულისხმოდ ცნობას გვანვიდის კართული თეატრის მკვლევარი, პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო ამ ოჯახთან. მისი ერთ-ერთი ნერილიდან მოვიყვანით შემდეგ პატარა ნაწყვეტს:

„დავითი თურქი საზოგადო მოღვაწე იყო, ვიდრე კულტის მსახური... ის ძველი ებრაული მწერლობის, რუსული და ევროპული ლიტერატურის მცოდნე იყო. სიყვარული ნერიდა და შთამოგონებლად მტკვებლებად საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. აკაკის

ჩვენს გვიყვარს ქართულს საქართველს

დაკრძალვისას დაეთიმა ქართველი ებრაელების სახელით მხატვრული სახიერებით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა: როდესაც ქურდის სახელი შეიპარება, ყველაზე ძვირფას ნივთს მოძებნის და გაიტაცებს. და აი სიკვდილი ქურდულად შემოგვეპარა და მან საქართველოს ძვირფასი თვალის - დიდი აკაკი მოგვპარა.

ეგროპაში ყოფნისას ებრაელთა ერთ-ერთ კრებაზე დაეთიმა ბააზოვს სიახლოვეს განუცხადებია: მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ებრაელობა არა ათასი წელისა ცხოვრობს, მაგრამ არც ერთხელ მის გვიდერთაგან დარბევა-ანიოკება არ განუცხდია. ეს სასიქადლო ქვეყანა საქართველოა!*

ამ სიტყვებს მსმენელებზე გამოგნებელი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ზემოხსენებულ დაეთიმა ბააზოვს ერთობ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ებრაული ლიტერატურის კლასიკოს შოლომ ალექსიმთან, რომლის საქართველოში აღმართვისას საზღვარი არ უჩანდა. ისინი ერთმანეთს ვერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს გასცნობიან.

„18 წლის წინათ... აღნიშნავს და ბააზოვს გახუტ „საქართველოს“ 1916 წლის 28 მაისის ნომერში დასტამბულ წერილში, - როდესაც ქალაქ კოპნოში (ივლისისხმეთ კ. კაუნასი - დ. ბ.) ვსწავლობდი, ნაკლებად ვიცნობდი მწერლობას. ჩვენს სასწავლებელში დიდი მზადება იწყეს. „სტუდენტის ველით, რომელიც ძალიან გვიყვარს“. ეს სანატრელი სტუდენტები მოვიდა. კ. კოპნო დიდი ამბით მიიღო... მისმა დიდმა ნიჭმა დიდი ცვლილება მოაბიძგა ჩემში. ვნატრობდი მის პირადად ნახვას, მაგრამ ამაოდ, ვინ მიმომუხდებდა. მეორე დღეს კაცი მოვიდა და მითხრობდა: თქვენ გათხოვეთ, შოლომთან მოვითხო. მე ამან გამაკვირვა... დიდი სიამოვნებით ვაგებუებო მისკენ. როცა შევედი, მაშინვე შეითხა:

- თქვენ საქართველოს ებრაელი ხართ?
- დიახ!

-ხო, რა ბედნიერი ვარ ამ შემთხვევით. მე მინდა მიამბო ქართველი ერის ამბები, მათი სულისკვლივა, მისწრაფება დღევანდელ დროში... იცი, თქვენი პირდაპირი მოულოაბო ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი მონაწილეობა მიიღეთ, აღზარდეთ იმისათვის შეილება, რომ გამაძიდრონ მათი ლიტერატურა, მძობა, ამსანაგობა გაუზიონ ყველაფერში. ჩვენი ერი, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დიდ ტარფვას განიცდიდა, ერთგულად ასრულებდა თავის სამოქმედობის, აძლევდა მათ თანასწარსული ნიჭიერ შეილება ყველა დარგში და თქვენ ხომ არაფერი გაჭირვება, დევნა არ განიცდიდით ამ კვლევით ერისგან. უფრო მეტი ვაჭირვება, დევნა რომ მათ წინსვლას მეტი ძალა და ღონე შესწირათ.“

გახუტ „საქართველოს“ მომდევნო ნომერში დაბეჭდილ გაგრძელებას ავტორი ამ სიტყვებითი იწყებს:

„განვიღო ათმა წელიწადმა. პოლანდის ქ. შააგაბო თავი მოუყრიათ დიდ პირებს და აიგანებ ისეგნებენ. ნ. სოკოლოვიც იქ გამოსულიყო, როცა დიდი ამბია, მომპარათ: ძალიან მინდა თქვენთან საუბარი, მაგრამ არ იქნა, ვერ მოვიცალა. ცოტა რამ მიამბო ჩვენი ძმების ამბავი, მათი ცხოვრება საქართველოში.“

სუბე გამოდგა დიდთმანი კაცი, რომელიც მალე ვიცინა და აღტაცებითი შეითხა:

- თქვენ განა საქართველოდან ხართ?
- დიახ, ვუპასუხე.
- იცნობთ ქართველ მწერლებს - ილია ჭავჭავაძეს, ან აკაკი წერეთელს?

- როცა დადებითად ვუპასუხე, მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა და ამნიარება დასტამბა იქ დამსწრე მოი... მე გავცინი ა. წერეთელის პარიზში და ი. ჭავჭავაძე კი პეტერბურგში. აი, ნამდვილი დადებითანები. აი, ნამდვილი იდეალისტის მსახური, რომელიც იდეალურ უქუდის კაცობრივად ბედნიერი ვახს. რასაც დაამონებებს ფსიქოლოგურად ქართველი ერისა და ებრაელების დაახლოება. აღდგენილი გაიხსნა: ვაუზარულს იმ ერს, რომელსაც ასეთი ძლიერი და სუფთა თვისება ჰქონია!“

საჭიროდ მივიჩნიეთ, გავაცნოთ და ბააზოვის ამ სტატიის პირველი აბზაციც, რომელშიც გამხელლია მისი დაწერის მიზეზი.

„იკურთხოს, უფალო, სახელი შენი, რამეთუ დიდა განგება შენი!“

- ასე ამოიხატა ჩემმა გულმა, როცა ორი უბედურება ერთად გავიგე, ახლანდელი მგზავრობის დროს. კ. ნიუ-იორკში გარდაიცვალა გზარელთა საყვარელი მწერალი შოლომ ალექსი და რაბინოფი. ამავე დროს გარდაიცვალა ქართველი ერის საყვარელი მგოსანი იროდოლე ევდომვილი“.

აღნიშნავს რა შოლომ ალექსიმის გამოჩენულ სიყვარულს საქართველოსადმი, და ბააზოვი გვამცნობს, რომ მან ვერ შეასრულა თავისი დიდი ნაწილი - ჩამოსულიყო საქართველოში და შეესწავლა ქართული ენა - რადგან იგი ავად შეიქნა და ექიმების რჩევით იტალიაში გადასახლდა, სადაც ბევრი იტანჯა და ბოლოს ნიუ-იორკში გარდაიცვალა სწორედ იმ დღეს, როცა ქართველი იროდოლე გარდაიცვალა... ნი! დიდა იროდოლისი სიკვდილი. დიდა შოლომის სიკვდილიც! ჩვენ ვინდებოდა შოლომის მართლაც სტუმრობოდა საქართველოს, უფრო გაცივნი ქართველი ერის ადამიანობა, დიდი სული და მისი სიხარულს ფსიქოლოგია და ეცნობებოდა ეგროპა-ამერიკისათვის, რომ არსებობს ერთი პატარა ერი საქართველოს მთებს შორის, რომელსაც მჭიდროდ უჭირავს ხელში დროსა კაცთმოყვარეობის იდეალებს“.

გამოხატავს რა ი. ევდომვილის უფროდ დაკარგვით გამოწვეულ დიდ მუხარებულ და, ბააზოვი უღრმესი მადლობით მოიხსენიებს მგოსნის ღვაწლს ებრაელებისადმი. იგი წერს: „... ევდომვილი არის ტანჯული ხალხის მოყვარე, მასზე დარდობს, მასზე ტროის და მისთვის ნუგების ძებნაში... როცა კითხულობ მის ლექსებს „ისმინე, ერი ისრაელისა“ ან „ტროისის ისრაელისა“, ისე ჰგონებოდა, თითქოს ფურცლები იროდოლისის გრძელეით იყოს დაშალა. ჰკვირობო, იცვება და ამბობ: რამ წაიყვანა ქართველი იროდოლე მორელ იერუსალიმში?“

და ბააზოვის იმავე წერილში ყურადღებას იპყრობს შემდეგი გამოთქმა: „მე ბევრგან ვიქვი და სიძარბოვაც ასეთ: თუ ვუყურებთ, რომ ქართველი დეპუტატებში მდარდა იცვება დამარჯობი ერების საკითხის სათანაბროში, მხოლოდ ქართული ფსიქოლოგიით აიხსნება ეს და არა რომელიმე პროგრამის მიხედვით.“

